№ 47 მარტი 4, ოთხშაბათი 1892 მარტი 4, ოთხშაბათი № 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892

## გაზეთი „ივერია" მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაბამის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** 4 მარტს ეპისკოპოსს ალექსანდრეს ოც-და-ათი წელიწადი შეუსრულდა ეპისკოპოსობის ხარისხით. სამსახურისა ამისთვის ეპისკოპოსი ალექსანდრე, თავის ოც-და-ათის წლის ეპისკოპოსობის დღესასწაულის გარდასახდელად წაბრძანდა შიო-მღვიმის მონასტერში, როგორც წინამძღვარი და აღმადგინებელი ამ მონასტრისა, რათა იქ მყუდროებასა და განმხოლოებაში ღირსის მამის შიო-მღვიმელის ნაწილების წინაშე შეავედროს თავისი თავი უფალსა.

*** გუშინ, 2 მარტს, ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა გაემგზავრა გორში, სადაც დღეს, იმის მეთაურობით, ითამაშებენ „სამშობლოს". ხსენებულს არტისტ-ქალს და ბ-ნს ვლ. ალექსი-მესხიშვილს მოლაპარაკება აქვთ შეადგინონ დასი და წარმოადგინონ ამ დიდ-მარხვაში, სხვათა შორის: „ჰამლეტი", „რომეო და ჯულიეტა" და სხვანი.

*** გამოვიდა მეორე ნომერი „ჯეჯილისა" (მარტისა) შემდეგის შინაარსით: მეჩონგურე მგზავრი, ლექსი ზეზვასი; გოგრა, მოთხრობა ვაჟა-ფშაველასი; დათვი—ლექსი აკაკისა; სესე, ისტორიული ამბავი ვ. ბარნოვისა; იის ნაამბობი, ლექსი ზეზვასი; უცნაური მოგზაურობა, ნათარგმნი ან. თ—წ—ისა; ხუმრობა, იგავ-არაკი ფედრისა; ლექსი ჩიხელიძისა; დაკარგული მეგობარი, იაკობ გოგებაშვილისა; ქაიხოსრო გმირი, ხალხური ლექსი; ჩვენი ძველი გმირები, ისტორიული სურათები გ. წერეთლისა; ვეფხის ტყაოსანი, გ. ი—სა. ბენიამინ ფრანკლინი, ბიოგრაფია გადმოკეთებული ან. თ—წ—ის მიერ; როგორ ისწავლა პეტრემ წიგნი; ბატი და ღორი, იაკობ სვიმონიძესი; თავდაჯერებობა ანუ ქალაქობია, თამაშობა ან-მანისა; ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ზღაპრები; სამათემატიკო გამოცანები, შარადა და რებუსი.

*** ამას წინად, დიდ-მარხვის პირველს ორშაბათსა თუ სამშაბათს, ვაშლოვანელი თათუა მანთაშოვი დილა ადრიან ცხენით გამგზავრებულა სოფლებში სავაჭროდ და ისე კვალწმინდად დაკარგულა ცხენიანად, რომ ოც-და-ათამდე ცხენოსანი დაეძებს ვაშლოვანისა და ტფილისის არე მარეზე და ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი ვერ უპოვნიათ და თათუას მნახველსაც ვერავის შეხვედრიან.

კვალ-წმინდად დაკარგულმა თათუამ, ჯერ ორი თვე არც კია, რაც ჯვარი დაიწერა. თათუავე ინახავდა მოხუცებულს მშობლებს.

*** სპარსეთის ელჩს ტფილისში ამბავი მოსვლია ოფიციალურად თავრიზიდგან, რომ, თუმცა თეირანში ხმა გავრცელდა, ვითომ შაჰის მემკვიდრის მოკვლა უნდოდათო, მაგრამ ეს ამბავი ტყუილიაო.

*** არტაანში მარტის 1-ს ღამით მიწისძ-ვრა ყოფილა.

*** ტელეგრაფის მოხელეს შეცდომის გამო კინაღამ ორი მატარებელი არ დასჯახებია ერთმანერთს ამ დღეებში ტფილისსა და ნავთლუღს შორის, რადგან სწორედ იმ დროს წასულა ტფილისიდგან სახალხო მატარებელი, როცა ნავთლუღიდამ მოახლოვებია სადგურს ნავთის მატარებელი. ეს ამბავი დროზე შეუმჩნევიათ და შეუჩერებიათ სახალხო მატარებელი. ტელეგრაფის მოხელე-ქალი, რომლის მიზეზითაც იყო ეს ამბავი, მაშინვე დათხოვნილ იქმნა.

*** პარასკევს, 6 მარტს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში დანიშნულია სამუსიკო-სადრამატიულო საღამო და ქართულ ხოროს კონცერტი ბ-ნ რატილის ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ცხომელიძე, კანდელაკი და გედევანოვი. ქართული ხორო იტყვის სხვა-და-სხვა სიმღერას ორ განყოფილებად; არტისტები წარმოადგენენ ვოდევილს „გულმა იგრძნო". ბოლოს იქნება წარმოდგენილი ერთი სცენა ოპერისა „სტრადელა" ბ-ნ რატილისა და ცხომელიძის მონაწილეობით.

საღამოს გამგეა ბ-ნი რატილი. ეს საღამო მეოთხე ამონემენტი იქნება ბ-ნ რატილის მიერ შარშან გაზაფხულზედ დაპირებულის საღამოებისა. აბონენტს შეუძლიან ბილეთი სამუსიკო კრუჟოკის კასაში მიიღოს.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის-მომწერთ ახალი ნომერი სამეურნეო გაზეთის „მეურნე"-სი. ამ ვრცელს ნომერში, რომელიც ერთის თვის ნომრების მაგიერ არის დაბეჭდილი, მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო წერილები: ბამბის მოყვანის საეკონომიო მნიშვნელობა ევროპისათვის საზოგადოდ და ჩვენის ქვეყნისათვის კერძოდ, მეთაური წერილი ბ-ნ არ. ფირალოვისა; მოკლე დარიგება აბრეშუმის მოყვანისათვის, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნა მოხსენება ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილისა; ბუნება და სიცოცხლე; ფილოქსერა ჩვენში, აგრონომის თ. ნ. ანდრონიკაშვილისა, ლ. რუჟიე, მევენახეობის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თარგ. ფრანგულით; ვაზი დამისი მოვლა, თ. ვლ. ჯანდიერისა და რამდენიმე სხვა-და-სხვა წვრილი წერილი.

*** ჩვენ მივიღეთ ს. ბერძნიშვილისაგან მერვში ქართველთა შორის შეკრებილი 8 მ. 20 კ. ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 408 მ. 20 კ. ამითი შესდგა 416 მ. 40 კ.

*** სომხეთა კათალიკოსის ამოსარჩევად ტფილისის ეპარქიის დელეგატის კანდიდატად, სხვათა შორის, ასახელებენ გაბრ. სუნდუკიანცსაც.

*** ავაზაკი ალექსი ხასიშვილი, რომელსაც სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორგად შეეცვალა, ამ დღეებში ტფილისიდგან ციმბირს გაგზავნეს.

*** ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა თურქესტანიდგან 500 ფუთი ბამბის თესლი. თესლს ტფილისის გუბერნიის მემამულეებს დაურიგებენ, რათა მოიყვანონ საცდელად. 100 ფუთი ბამბის თესლი ქუთაისშიაც გაუგზავნიათ.

*** მთავრობის მიერ საზღვარ-გარედ სიმინდის გატანის ნება-რთვის გამო სტამბოლიდგან უკვე ორი გემი წამოსულა ბათუმში სიმინდის წასაღებად.

*** სოფ. ჩოჩხათი (ოზურგეთის მაზრა): 28 თებერვალს აქაურ მცხოვრებელს ასალო ხუციშვილს სცემა გზაში და დასჭრა ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა. ნაცემი მალე გადაიცვალა, ისე რომ სულ ორი საათი აღარ უცოცხლია. ბრალი დაედო ამ დანაშაულობისა ერთს მის მეზობელსა, რომელიც გავარდა. შიშობენ, ვაი თუ ისიც იმ ფირალებს მიუმხანაგდეს, რომელნიც ასეთს შავს დღეს აყენებენ მთელს გურიასაო.

*** ცხინვალი: 15 თებერვალს წარმოდგენა გამართეს კნ. ეფემია მაჩაბლის თაოსნობით. წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომედია „ბედნიერი დღე" და ხუმრობა-ვოდევილი „პარიკმახერისას", თ. რ. ერისთავისა. შემოსავალი დანიშნული იყო ცხინვალის სცენის სასარგებლოდ. სულ შემოვიდა 56 მ. და 40 პ. დაიხარჯა 16 მან. და 10 კაპ. დანარჩენი 40 მან. და 30 კაპ. გადაიდო სცენის სასარგებლოდ.

*** სოფ. ბერთი (გორის მაზრა): იქნება ამ ცოტას ხანში ჩვენც გვეღირსოს სამრევლო სკოლა მაინც. აქაურმა მღვდელმა, ბლაღოჩინმა გ. ედილაშვილმა განიზრახა ამ დიდ-მარხვაში სკოლის გამართვა. სკოლა მოთავსებული იქნება საკუთრად მის სახლში და ჯერ-ჯერობით მასწავლებლობასაც თითონ გასწევს. დასაწყისისათვის ესეც კარგი იქნება, ოღონდ-კი ერთი ნავსი გატყდეს და მერე, იმედია, ხალხი ისე შეეჩვევა, რომ იქნება ცოტაოდენი ხარჯი გასწიოს და სკოლის საქმეც მტკიცე საფუძველზე დამყარდეს.

*** გორი: ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ, სხვათა შორის, გაარჩია წარსულს თებერვალში თავადის დ. ი. ავალიშვილის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა პარვა ღორებისა, კამბეჩებისა და სხვა საქონლისა. როგორც შევიტყეთ, დამცველად ყოფნა დ. კ—სათვის ეთხოვნა, მაგრამ ამას უარი გამოეცხადებინა. სასამართლომ გადაუწყვიტა ღირსების აყრა და ციხეში დაპატიმრება რამდენისამე თვეით. ამ დღეებში იქნება გარჩეული საქმე ყ. მაჭავარიანისა, რომელსაც ჰბრალდება დაზღვეულის პურის დაწვა. დაწვრილებითს ანგარიშს ცალკე წერილით გაცნობებთ.

*** იქიდამვე: აქ გავრცელდა ხმა, რომ მარტის 4-ს ქართულ თეატრის არტისტები წარმოადგენენ დ. ერისთავის დრამას „სამშობლოსაო". აფიშაც ვნახეთ, მაგრამ გორის მაზრის უფროსს ნება არ მიუცია იმ მიზეზით, რომ მთლიანად წარმოდგენა რომელისამე დრამისა, ანუ კომედიისა დიდ-მარხვაში აკრძალულიაო. ნება-რთვა სთხოვეს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს.

*** გორიდამვე: გორის სასულიერო სასწავლებელში შემდეგი ცვლილება მოხდა მოსამსახურეთა შორის: რუსულის ენის მასწავლებელი პირველსა და მეორე კლასებში ბ-ნი შარაშკი ტფილისის სასწავლებელში გადაიყვანეს და იმის ადგილზედ ექსარხოსმა დანიშნა გორისავე სასწავლებლის უფროს მოსამზადებელის კლასის მასწავლებელი ზ. დავითაშვილი. დავითაშვილის ადგილზედ დაინიშნა ექსარხოსისაგანვე შეგირდების ყოფა-ქცევის თვალ-ყურის მდევნელი გორისავე სასწავლებლისა ბ-ნი თინიკაშვილი. თინიკაშვილის ადგილზედ—მასწავლებლად ნამყოფი იმავე სასწავლებელში პ. ბურჯანაძე, რომელმაც შარშან შეასრულა ოცდახ-უთი წელიწადი სამსახურისა.

*** საგარეჯო: ერთს მასწავლებელს ქალს სოფ. საგარეჯოში კერძო სკოლის გამართვის ნება-რთვა უთხოვნია მთავრობისათვის. საგარეჯოს სოფლის საზოგადოებასაც უთხოვნია მთავრობისთვის, ნება მოგვეცით სოფ. საგარეჯოში სახალხო სამკითხველო გავმართოთო.

*** ავჭალა: ამ დღეებში ავჭალის სიახლოვეს მტკვარმა გამორიყა დამრჩვალის კაცის გვამი. პოლიციამ და მკურნალებმა გვამი გასინჯეს და აღმოაჩინეს, რომ კაცი ჯერ დაურჩვიათ და მერე წყალში ჩაუგდიათო.

*** გაზეთს „Нов. Обоз."-ს შეუტყვია, რომ ბ-ნს ფორკატის მოლაპარაკება აქვს გამართული გამოჩენილ არტისტ-ქალ დუზეს მოწვევის თაობაზე. ქ-ნი დუზე თითო წარმოდგენისათვის 1,500 მანათსა თხოულობს. ფორკატი-კი თავის მხრივ იმ პირობით იწვევს, რა პირობითაც როსსი იყო მოწვეული. ე. ი. 60 პროცენტს საერთო შემოსავლისას ქ-ნს დუზეს უთმობს.

*** გაზეთ „Кавказъ"-ს შეუტყვია, რომ ბორჩალოს მაზრის სოფელ ახპატში სახადი გაჩენილა. ტფილისის მაზრის სოფელ თონეთშიაც ყვავილი მძვინვარებს თურმე: 7 დღეში 22 კაცი გარდაცვლილა. ადმინისტრაცია ყოველ გვარს საშუალებასა ხმარობს ამ ავადმყოფობის მოსასპობლად.

*** როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფო საბჭოს დაუმტკიცებია შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი იმის შესახებ, რომ იმ ქალაქებში, სადაც ას კაცზედ ნაკლებსა აქვს ამომრჩევლობის უფლება, ქალაქის საბჭოს მაგიერ დაარსებული იქნება სახლის პატრონების რწმუნებულთა კრება, რომელიც განაგებს ქალაქის საქმეებს. ეს ახალი წესი ქალაქის მმართველობისა, როგორც გაზეთ „Кавказъ"-ს შეუტყვია, ყველაზედ ადრე კოჯორში იქნება შემოღებული.

*** 2 მარტს ტფილისის ვაჭარმა გოტლიბ კურცმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამ თვის ორს, ღამის 11 საათზე, პოლიციის მესამე ნაწილში შერჩეულის გასაღებით თოფხანა გამიტეხეს და 60 სხვა-და-სხვა ნაირი რევოლვერი, 50 სანადირო დანა და კასიდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულად 25 მანეთი მომპარესო. სულ 705 მანეთის საღირალი წაიღესო. პატრონმა ეჭვი გამოაცხადა რაჭის მაზრის მცხოვრებელ სპირიდონ კავლიაშვილზე, რომელიც უკვე შეიპყრეს.

⁂ ამავე დღეს, იქ, სადაც ახალს თეატრს აშენებენ, იპოვნეს ორის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვს ბარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ეწერა, მონათლულია და სახელად ალექსანდრა ჰქვიანო. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

⁂ კვირას, 1 მარტს, დიდუბეში რამდენიმე ახალგაზდა ყმაწვილი თოფებსა სინჯავდნენ. ერთს მათგანს, 16 წლის ვასო კრომოზოვს, უცაბედად თოფი გაუვარდა და მარცხენა ხელში დაიჭრა.

⁂ შაბათს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, ბაღის ქუჩაზედ, სოლოლაკში, შადინოვის სახლში, 8 წლის ყმაწვილს უცაბედად რევოლვერი გაუვარდა და ტყვია იმ ოთახშივე მყოფ ქ-ნს მ. ბობროვას მოხვდა პირში. ჭრილობა საშიშთ არ არის.

⁂ იმავე დღეს, ახალს ჰოლანდიაში, ვერაზედ, 77 წლის მოხუცი პეტრუხინი წყალს ადუღებდა თურმე. ქვაბ ქვეშ ერთი ყუმბარა დებულა, ყუმბარა მოულოდნელად აფეთქებულა და საცოდავი მარჯვენა ფეხში დაუჭრია. ჭრილობა ძლიერ საშიშია თურმე.

## ქალაქის საბჭო

28 თებერვალს.

პირველად კრებას უნდა მოესმინა მოხსენება შესახებ ტფილისის უზრუნველყოფისა მილის წყალით, მაგრამ რადგანაც ხმოსანი ინჟენერნი არ დაესწრნენ კრებას, ამიტომ, პატარა კამათის შემდეგ, განხილვა ამ მოხსენებისა შემდეგისათვის გადაიდო.

საბჭომ გადასწყვიტა, გადასდოს 480 მან. და ამ ფულით 4 ცხენი იყიდოს ცეცხლის მქრობელის რაზმისათვის.

ამას შემდეგ საბჭო შეუდგა განხილვას იმ საგნისას, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ხარჯის დადების საქმე ტფილისში მოტანილსა და ტფილისიდგან გასატანს სხვა-და-სხვა საქონელზე.

ხმ. ნ. დ. ზუბალოვმა ითხოვა, გვითხარით, როგორ მიდის ეს საქმეო.

პ. ა. იზმაილოვი. ქალაქის საბჭოს არ გადაუწყვეტია, რომ იშუამდგომლოს ამ ხარჯის შემოღების თაობაზე. მხოლოდ საფინანსო კომისიამ სცნო ამის შემოღება სასურველად და საბჭომაც მოინდომა ამ საგნის შემუშავება. ხოლო შემუშავება ორ გვარად მოხერხდება: პირველი—შეიძლება დაგვეწერა მრავალი თაბახი ქაღალდი და წარგვედგინა ბ-ნ ზუბალოვისათვის, ვითომ-და გასამართლებლად იმ ნდობისა, რომ მე მომანდვეს ამ საქმის შემუშავება; მაგრამ სხვა ღონეც არის ამ საქმის შემუშავებისა--საჭირო მასალისა და ცნობათა შეკრება და ამ გზით შემუშავება. როცა მასალასა ვკრებდი ამ საქმის შესახებ, ისეთი ცნობანი შემხვდა, რომ აზრი სრულიად შემეცვალა ამ საგანზე. იმან ჩამაფიქრა, თუ რა და რა საქონელი მიდი-მოდის ტფილისში რკინის გზით და ან მთავრობა მოგვცემს ნებას იმაზე ხარჯის დადებისას? ამ გვარ გარდასახადის შემოღებას მთავრობა არ თანაუგრძობს და, თუ ნებასა რთავს ხოლმე, მხოლოდ მაშინა რთავს, როდესაც აღებულის ფულით თვით საქონლის მიტან-მოტანა ჰსურთ გააძლიერონ. ტფილისის წილად წელიწადში 10 მილიონი ფუთი წასაღებ-მოსატანი საქონელი მოდის და აქედგან $^2/_3$ ისეთი საქონელია, რომ ხარჯი არ შეიძლება დაედოს. ეს საქონელი გახლავთ სურსათ-სანოვაგე და შეშა. დანარჩენი საქონელი ან სულ დასამუშავებელი მასალაა ტფილისის სამრეწველო ქარხნებისათვის, რომელიც ოდნავ აღორძინდა ტფილისში, და ან კიდევ ესევე საქონელია დამუშავებული, რომელიც ტფილისიდგან მიდის. ხსენებულ 10 მილიონ ფუთიდგან 3.700,000 ფუთი საჭმელი სანოვაგეა, 1.600,000 შეშა-ნახშირი, 400 ათასი ფუთი ღვინო, სულ 5.700,000 ფუთი. ტფილისში მოტანილი დასამუშავებელი საქონელი 500,000 ფუთია, ნავთიც 300,000 ფუთი, სულ $6^1/_2$ მილიონი ფუთი. დანარჩენი სულ იმ გვარი საქონელია, მაგალითად, ქვა, მიწა და სხვა, რომელიც, ვინ იცის, გაუძლებს-კი ხარჯის დადებას? ერთი მილიონი ფუთი იმ გვარი საქონელი რომ ვიანგარიშოთ, რომელსაც ხარჯი არ დაედება, მაშინ ხარჯის დასადებად დაგვრჩება $2^1/_2$ მილიონი ფუთი. შეიძლება ყველა საქონელსაც დაედოს ხარჯი, მაგრამ ეს ძლიერ სამძიმო იქნება ხალხისათვის. მაგალითად, ერთი საჟენი შეშა იწონს 300 ფუთს. ფუთზე რომ $^1/_2$ კ. ხარჯი დავადოთ, ერთბაშად შეშას საჟენზე 1 მ. 50 კ. ფასი მოემატება. თუ საბჭო ამას არ დაერიდება და მაინც დაადებს ხარჯს, მაშინ ქალაქს ამ გზით 50,000 მანათი გაუჩნდება ახალი წლიური შემოსავალი. მაგრამ არა მგონია-კი, რომ მთავრობამ ნება მოგვცეს ამისი. ერთს გარემოებას კიდევ უნდა მივაქციო ყურადღება. შეშა და სასმელ-საჭმელი ისეთი საქონელია, რომ მდიდართა და ღარიბთა შორის ერთ გვარადა ნაწილდება. მდიდარმაცა და ღარიბმაც ტოლ-ტოლად უნდა შეჭამონ პური ერთის კვირის განმავლობაში. იქნება ღარიბმა უფრო მეტიც შეჭამოს (სიცილია)... ეს არც აგრე სასაცილო და არც ეგრე უცნაური რამ გახლავთ. ჩვენ თავს ზარი დაგვეცა, როცა სახელმწიფო გარდასახადი 20,000 მანათი მოგვიმატეს. მაშინვე შუამდგომლობა დავიწყეთ, რომ 1895 წლამდე გვადროვონ და ნაწილ-ნაწილად გადავვახდევინონ. განა შესაძლებელია ამავე დროს ისიც ვითხოვოთ, რომ 60,000 მ. ყოველ-წლიურს გარდასახადის შემოღების ნება მოგვეცითო? ამასთანავე გიცხადებთ, რომ ვადას ვერ დაგინიშნავთ ამ მოხსენების წარმოდგენისას. მაგრამ, თუ გსურთ, რომ მოხსენებაში მხოლოდ სურათი იყოს აღნიშნული ჩვენის გაწეწილის ფინანსებისა, მაშინ შეიძლება მოვახერხო.

მ. ი. თამამშევი. ეს საგანი პირველად მე აღვძარი, რადგანაც გაზეთები იუწყებოდნენ, სახელმწიფო საბჭო აპირობს ნება მისცეს ზოგიერთს ქალაქს, სადაც ნავთსადგური არ არის, ამ გვარის გარდასახადის შემოღებისაო. ჩვენ საბუთიცა გვქონდა ამ შუამდგომლობის დაწყებისა, რადგანაც შევვეძლო რკინის სადგურებთან მისავალ გზების განკარგება. რაც რომ ბ-ნმა იზმაილოვმა ეხლა სთქვა, ყოველივე ეგ აღნიშნულია რკინის გზის მიერ დაბეჭდილს საანგარიშო წიგნებში. თუ იზმაილოვი წინაღმდეგი იყო მაგ გვარ ხარჯის შემოღებისა, ეგ წინადვე და ადრევე უნდა განეცხადებინა. სხვა არა იყოს-რა, შეიძლება გავსინჯოთ, რომელი საქონელი ფასიანია, რომელი იაფი, და ამის მიხედვით ზოგს საქონელს არ დავადოთ ხარჯი, ზოგზე კიდევ ფუთზე მხოლოდ $^1/_{10}$ კ. ავიღოთ ხარჯი, ზოგზე $^1/_4$ კ. და სხ.

ნ. დ. ზუბალოვი. პ. ა. იზმაილოვის მაგ მჭევრ-მეტყველობაში პასუხი მაინც არა სჩანს იმისა, რაც მე ვიკითხე. ეგ მხოლოდ იმას ამბობს, მე არ თანავუგრძნობ ამ ხარჯის შემოღებასაო. შეიძლებოდა ეგ საქმე სხვისათვის ვისთვისმე მიგვენდო.

ქალაქის მოურავი. თქვენ ცოტა ისე ვერ გაიგეთ ბ-ნ პ. ა. იზმაილოვის ნათქვამი. საქმე შეჩერებული-კი არა აქვს, არამედ აწარმოებს.

პ. ა. იზმაილოვი. ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა ან ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი და ან არა ჰსურს გაგება. მკითხეს რა ვითარებაშია საქმეო, და მეც ვუპასუხე.

(დასასრული იქნება)

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

ქართლ-კახეთის ეპარქიაში:

უწმიდესის უმართებულესის სინოდის 1890 წლის 13 მარტის—6 ივნისის, მე-585 №-რის ბრძანების საფუძველით, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის პალადის მიერ გულს-მოდგინე და სასარგებლო სამსახურისათვის ამა 1892 წლის 16 თებერვალს სკუფიით იქმნენ დაჯილდოებულნი:

ქ. ტფილისის კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელ-ზედამხედველი, ღვთის მეტყველების კანდიდატი, მარკოზ ტყემალაძე.

ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის ეკონომი, სასწავლებლის ეკკლესიის მღვდელი პლატონ გამრეკელი.

მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის პალადის მიერ ნაბედრენიკით დაჯილდოებულ იქმნენ მღვდელნი:

კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს წევრი, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, ღვთის-მეტყველების კანდიდატი, მღვდელ-მონაზონი ისიდორე 1891 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოებულ იქმნა ნაბედრენიკით იმ სამაგალითო გულს-მოდგინე და დაუღალავის შრომისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ქ. ტფილისის მწყალობლებთან ბაასისა და საზოგადოების ხარჯით აგე-

# ფელეტონი

## ათაბაგნი ბექა და აღბუღა
## და
## მათი სამართალი.

(შემდეგი. იხ. „ივერია“, 1891 წ. № 42)

### XVI

მოკვლისაგან განირჩევა ასოთა მოკვეთა ანუ ასოთა ერთობ დაშავება (увѣчье). ზოგიერთი სამართალი ამბობს, ეს დანაშაული მოკვლას უდრისო, და ზოგი კიდევ იმ აზრისაა, რომ ასოთა მოკვეთა მოკვლის ნახევარიაო. უკანასკნელს აზრს აღიარებს, მაგ., Русская Правда და ფრანგების Lex Salica [298]). იგივე Правда და აგრეთვე გერმანელებისა და კელტების სამართალი აჩენს, ხელ-ფეხის მოკვეთა, ყურისა და ცხვირის მოჭრა, თვალის წამოგდებინება თანასწორი დანაშაულია და თითოეულს მათგანს სისხლის ნახევარი უნდა მიესაჯოსო [299]). როგორ ბჭობს აღბუღა?—ათაბაგი უფრო დიდს განსხვავებას ჰხედავს მოკვლასა ⁊ ასოთა მოკვეთასა ანუ დაშავებას შორის. უკანასკნელი დანაშაული დაშორებით დაბლა სდგას მოკვლაზე და მეტად მსუბუქია იმაზედაო. ამას გარდა, ასოთა მოკვეთა და ასოთა დაშავება სხვა-და-სხვა განცალკევებული დანაშაულია და არც ნახევარი სისხლი ეკუთვნისო. მაშასადამე, ასოთა მოკვეთისა და დაშავების საქმეში აღბუღა სრულიად არ ეთანხმება არც ერთს ძველ ევროპიულ სამართალს და საკუთარს აზრს აღიარებს. კერძოდ იგი ამბობს, რომ ხელ-ფეხის მოკვეთა და თვალების წამოგდებინება სხვა-და-სხვა დანაშაულია და არც ერთი მათგანი ნახევარ სისხლის ღირსი არ არისო—„თუ ხელი ანუ ფეხი მოეკვეთოს ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამედი დაუურვოს, თუ თვალი წამოაგდებინოს, სისხლის მეოთხედიო“ (მუხ. ვ).

მაგრამ ზოგჯერ ათაბაგი მაინც ევროპიელთა სამართალს ჰბაძავს. ეს მაშინ, როცა ასოთა მოკვეთა და თვალის წამოგდებინება წარმოსდგება ისეთის საშუალებით, რომელიც თვითვე ავი საქმეა: ასეთი ავი საქმეა, მაგ., წაპარვა და ამიტომ აღბუღაც აწესებს—„წაპარვით თვალისა, ცურა *) ხელ-ფეხისა... სისხლისა ნახევარი არისო“ (მუხ. რკე). წაპარვა დანაშაულს ამძიმებს, უღრესად ჰხადის. იგი კვალიფიკაციას შეადგენს და სისხლს სიმატეც ამის შედეგია. ხოლო ევროპიელთა სამართალი წაუპარავადაც სისხლის ნახევარს აჩენდა. ეს კიდევ არაფერი. საყურადღებო უფრო ისაა, რომ ათაბაგი ერთს შემთხვევაში ასოთა მოკვეთას სრულს სისხლს უურვებს, მოკვეთას და მოკვლას თანასწორად აყანებს, სწორედ ისე, როგორც ევროპიელთა თითო-ოროლა სამართალი აჩენდა. აღბუღა ამბობს: „ვინც ქრისტიანემან კაცმან ძმას... ცხადად ანუ ღალატად მოკვეთოს რამე ასოთანი, სისხლი სრული... დაუურვოს“, წყევა და კრულვა სხვა იყოსო (მუხ. რჲგ). აშკარაა, რომ აქაც ათაბაგს აზრად სამძიმო გარემოება აქვს, რადგანაც ძმა და გარეშე ადამიანი სხვა-და-სხვაა სასჯავროს წინაშე. ყოველ შემთხვევაში, აღბუღა უფრო ლმობიერად ეპყრობა ასოთა მომკვეთელს და დამშავებელს, ვიდრე ევროპაში ყოფილა, და თუ ხანდახან სასტიკად სჯის დამნაშავეს, ამის მიზეზი ჟამთა ვითარებაშია. ეს უნდა ითქვას თვალის დაწვაზედ. ძველად საქართველოში თვალის დაწვა გახშირებული იყო. ჩვენი მატიანე სავსეა ამ ბოროტების აღწერით. არა თუ დიდებულნი, თვით მეფენიც-კი არ თაკილობდნენ ამ ბოროტებას. კაცთ-მოყვარე ათაბაგი შეებრძოლა ბარბაროსულ ჩვეულებას და დიდი ზღვარი გაავლო თვალის წამოგდებინებასა და თვალის დაწვას შორის—უკანასკნელი მეტად მძიმე ბოროტებაა პირველზედაო: „თუ კაცმან კაცს თვალნი დასწვნეს... მისსა სისხლსა ოცი ათასი სხვა ემატოს, ამიტომ რომ ნიადაგ სასჯელსა და სირცხვილში არის და ერთხელ სიკვდილი სჯობს“ (მუხ. რნბ). „ოცი ათასი სხვა ემატოს“ ცხადად ჰღაღადებს, რომ ათაბაგი აქ მაღალწოდების კაცებს ჰგულისხმობს. და თუ რა გახშირებული ყოფილა თვალის დაწვა, ამას სისხლის დიდი რაოდენობა ამტკიცებს. თვალის დაწვისათვის გაჩენილი სისხლი სჭარბობდა მოკვლისათვის გაჩენილსა და თვალის წამოგდებინაზე ხომ უფრო მეტი იყო (...„თუ თვალი წამოაგდებინოს, სისხლის მეოთხედი დაუურვოს“, მუხ. ვ. [300]). თუ ვინმე ძმას თვალებს დასწვავდა, სისხლს გარდა, სანახშიროც უნდა გადაეხადა, თუმცა-კი არა სჩანს რამდენი (მუხ. რჲგ). დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ თვალის დაწვას სასჯელადაც ხმარობდნენ. მხოლოდ მეფესა და ათაბაგს შეეძლო ეს სასჯელი გაეჩინა და ისიც დიდ დამნაშავისათვის (მუხ. რნგ).

აღბუღა უყურადღებოდ არც თითებსა სტოვებს, თუმცა-კი მარტო ხელის თითებზე ბჭობს და ფეხისაზე-კი არა. არც ევროპიელთა სამართალი სწყალობდა ფეხის თითებს,—ალბად იმ დროს ხელი ფეხზე უფრო საჭირო ყოფილა... მაგრამ შესანიშნავი უფრო ისაა, რომ, ათაბაგის სიტყვით, თითები სამართლის წინაშე თანასწორნი არიან და თითოეულს მათგანს ერთი და იგივე ფასი სძევს. ევროპაში-კი სხვაფრივ იყო: იქ ცერს მეტი სისხლი ეურვებოდა და ნეკი ყველა თითზედ ნაკლებად ფასობდა. ცერის მოკვეთა საზოგადოდ სამის შუათანა თითის სისხლი ეღირდა დამნაშავეს [301]). ფრანგები ამბობდნენ, ცერი და სალოკი თითი ყოვლად საჭიროა მშვილდისრის სახმარებლად და ამიტომ მეტი ჰღირანო [302]). მშვილდ-ისარს არც საათაბაგოში ჰქონდა ნაკლები პატივი, მაგრამ ცერსა და სალოკ თითს მაინც დიდება არ მიანიჭეს. თვით მშვილდოსან-მეისრე ათაბაგი ამას ჰმოწმობს და ყველა თითზე საერთოდ ადგენს—„თუ ხელის თითი მოკვეთოს, ხელის გერშის მეხუთედი დაუურვოს. თუ ორნი მოკვეთნეს, თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონო“ (მუხ. ვ). მაგრამ რად?..

სულ სხვაა დაკოდვა, пораненіе (დაკოდვა—დაწყლვა, გვერში—ნაკოდთა მცირე სისხლიო, განმარტებს ს. ს. ორბელიანი). დაკოდვა აწინდებურად ეწოდება ისეთს ჭრილობას, რომლითაც ასო არ უნდა დაშავდეს და მხოლოდ ნაკოდის კვალი დარჩეს—„თუ ასეთი რამ დაეკოდოს, რომ არ დაუშავდეს, დააჩნდესო“. მოკვეთა და დაშავება ასოთა სივრცით შემოზღუდულია და ამ პატარა სივრცეზეა გაშლილი მათი სავარჯიშო ასპარეზი. ხოლო დაკოდვის სამფლობელო დაშორებით უფრო ფართო და განიერია—სამფლობელოს მთლად ტანი და სხეული შეადგენს. ამიტომ ძველადვე ევროპიელნი დიდს ზღვარსა

---

[298]) Калачевъ, 189. Ср. Зак. и Об. на Кав. II. 276—7.

[299]) Совр. Об. и Др. Зак. II. 137.

*) ყველგან ცურა (თუ ცერი?) სწერია და ჩვენ არ ვიცით, რას ჰნიშნავს ეს სიტყვა.

[300]) *Lex Salica* თვალის წამოგდებინებისათვის აჩდევინებდა სისხლი მესამედზე ცოტა მეტსა—62 სოლიდს. სოლიდი 16 ფრანკი იყო და მთელი სისხლი ღირდა 200 სოლიდი, Беко, 138. მაშ თუ ასეა, ბ-ნი კოვალსკი ანარიშში სცდება. შეადარე Совр. Об. и Др. Зак. II. 137

[301]) Совр. Об. и Др. Зак. II. 137, 138.

[302]) Беко, 138.

ზულს სამღოცველო სახლში ღვთის-მსახურების გადახდით.

ერევნის წმ. ღვთის-მშობლის სავარკელის ტაძრისა სიმონ ლიაძე;

სიღნაღის მაზრის სოფ. ახალშენის წმ. სამების ეკლესიისა ისიდორე ვაჩეშვილი;

გორის მაზრის სოფ. ნოჩეთის წმ. გიორგის ეკლესიისა დიმიტრი ხუთუბაშვილი, და

სიღნაღის მაზრის სოფ. ნუკრიანის წმ. გიორგის ეკლესიისა მიხეილ რობიტაშვილი.

—

მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის პალადის მიერ ნაბოძრებიათ იქმნა დაჯილდოებული შუამთის მონასტრისა და ალავერდის ტაძრის საზინადარი, მღვდელმონაზონი ნიკიფორე თავისის მოვალეობის სამაგალითო და გულს-მოდგინედ აღსრულებისათვის, რაც შემოწმებულ იქმნა მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონისაგან.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრიაშიაც გაჭირვება და სიმშილია, თუმცა არა ისე დიდი, როგორც რუსეთში. მოუსავლობა ეწვია იქ მხოლოდ რამდენსამე მაზრასა და მხარეს, უფროკი გალიციას, ბუკოვინას, სილეზისა და ბოჰემიას. როგორც ჰხედავთ, ეს ქვეყნები ისეთი ქვეყნებია, რომელშიაც უმრავლესობა მოსახლეთა სლავიანები არიან. მთავრობამ გადასდო მათ შესაწევრად 360,000 გულდენი, მაგრამ ავსტრი-ვენგრიაში ჩამოვარდნილმა სიმშილობამ ბევრს სხვასაც გაუჭირვა საქმე ამ სახელმწიფოში. ცხოვრება ისე გაძვირდა და გაძნელდა, რომ დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ მთავრობის წვრილმანი მოხელენი, რომელთაც ძლიერ მცირე ჯამაგირი ეძლევათ. მთავრობამ ამათთვისაც გადასდო 500,000 გულდენი. რეიხსტრატმა ეს ფული გაადიდა და გადასწყვიტა, რომ ერთი მილიონი გადაიდოს მოხელეთათვის, ხოლო დამშეულთათვის-კი იგივე რაოდენობა დარჩესო. ეს იწყინეს სლავიანთა ქვეყნების დეპუტატებმა და ბევრი მწარე საყვედური გააგონეს მთავრობას მცირე ფულის გადადებისათვის დამშეულთა სლავიანების სასარგებლოდ. დ-რ ლანგს გარდა ილაპარაკა ამ გვარად დეპუტატმა ზეიხერტმაც. ნუ თუ ჩვენი „დედა ავსტრია“ ახლაც დედინაცვლობას გაუწევს ხალხს და უარს ეტყვის გაჭირვებულთ ცარიელ პურისასაც-კიო?

— გერნალსში იყო კრება, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და საგნად ჰქონდა გაერკვია, რა დამოკიდებულებაა ადმინისტრაციასა და მწერლობას შორის. სხვათა შორის ილაპარაკა დეპუტატმა პერნერსტორფერმა, დიდმა მომხრემ მწერლობის თავისუფლებისამ. ეხლა რომ გაზეთმა ან ჟურნალმა რამ დააშავოს, ან არა დააშავოს-რა და მთავრობას-კი ეგონოს, დააშავაო, გაზეთს, ან ჟურნალს საადმინისტრაციო წესით დასჯიან, ან არა-და — ისეთს სამართალში მისცემენ, საცა ნაფიცნი მსაჯულნი არ ესწრებიანო. მე ვსთხოვეო, სთქვა დეპუტატმა, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელს, საქმე გაზეთების დასჯისა გადაეცეს ნაფიც მსაჯულთა სამართალს, მაგრამ იმან ასე მიპასუხა: მაგას ვერას გზით ვერ ვიზამთ, რადგან ნაფიცნი მსაჯულნი ყოველთვის ჟურნალისტებს გაამართლებენო. თუ გაამართლებენ, მაშ საზოგადოებას ისეთი მწერლები და მწერლობა ეყოლება, როგორიც თითონ უნდა და სასურველიც ხომ ეს არის-მეთქი. ეგ ძველი აზრი და შეხედულობააო, მიპასუხა წარმომადგენელმა. შემდეგ დეპუტატმა პერნერსტორფერმა დიდი კიცხვა დაუწყო მთავრობის სხვა-დასხვა მოქმედებას. ამას ის მოჰყვა, რომ პოლიციელმა, რომელიც კრებაზე იყო, მოსთხოვა კრების თავმჯდომარეს, უბრძანეთ ორატორს წესიერება დაიცვას, თორემ კრების ნებას აღარ მოგცემთო. ასტყდა დიდი ლაპარაკი და აყალმაყალი. პოლიციელს ცხარე პასუხი მისცა მუშათა მეთაურმა დ-რმა ვიქტორ ადლერმა. არსად, გერმანიაშიაც-კი, თუნდ მაშინაც, როცა სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი იყო შემოღებული, პოლიციელი არ იკადრებდა იმას, რაც თქვენ იკადრეთო. კრების თავმჯდომარემ შენიშნა, კანონის არ-ცოდნით თუ მოგივიდათ, რომ კრების საქმეში გაერიეთო. მაგრამ, დაიწყო თუ არა სხვა ორატორმა ლაპარაკი, პოლიციის კომისარმა ნება აღარ მისცა ხალხს კრების განგრძობისა.

**გერმანია.** გერმანიაში მუშა ხალხი დიდად შევიწროებულია ამ ჟამად იმიტომ, რომ სამუშაო ნაკლებად არის, მოუსავლობა იყო ალაგ-ალაგ, ყველაფრის სიძვირეა და წარმოების ზოგიერთი შტო და დარგი კრიზისშია. შარშანვე ამბობდნენ, რომ ხალხი გაჭირვებას ვერ ასცდებაო, და ამ საბუთით ითხოვდნენ ზოგიერთნი გულმტკივნეულნი, რომ საჭიროა გაუქმდეს ბაჟი, დაწესებული უცხოეთიდამ შემოტანილს პურზედაო. მაშინ ამ საბუთს ყურს არ უგდებდნენ და იქნება ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება. ზოგიერთგან უცხოელთ ძლიერ უკვირთო, ამბობენ გერმანიაში, რომ მუშათა შორის ზოგან უწესოებაც მოხდა, იმათ ასე ჰგონიათ, რომ გერმანია მართლა სამაგალითო ქვეყანა იყოს და მისნი მკვიდრნი დიდად კმაყოფილნი საეკონომიო და საპოლიტიკო ყოფა-ცხოვრებითაო. მაგრამ საქმე არც აგრე კარგად გახლავთ. გერმანიაში მხოლოდ მიჩვეულნი არ არიან იმ გვარ სადალ-მომრეო მოქმედებასა და უწესოებათა ჩადენას, რომელიც სხვა ქვეყნებში ასე განუწყვეტელი და მოუსპობელი საქმე შეიქმნაო.

**ინგლისი.** თუ გარემოება არ შეიცვალა, 400—500 ათასი მუშა ქვანახშირის მღვიმე-მაღაროებისა აპირობენ გაიფიცნენ და ხელი აიღონ მუშაობაზე. მეოთხედი ნაწილი ამ მუშებისა იმიტომ აპირობს გაფიცვას, რომ ფასი არ დაგვიკლონ მწარმოებლებმაო; ხოლო დანარჩენებს სხვა აზრი აქვთ: ისინი გაფიცვას აპირობენ მწარმოებლებთან მორიგებით. როცა ნახშირი ბევრია ბაზარში, ფასი მცირდება და მწარმოებლებიც მუშას ფასს უკლებენ მღვიმეებში. მუშები ჰფიქრობენ, ამ გადაჭარბებას ნახშირის წარმოებისას ის არა სჯობიან, შევიცადოთ და აღარ ვიმუშაოთო? ასე გაფიცვა მუშებისათვისაც სასარგებლოა, მწარმოებლებისათვისაც, რომელთაც, ორ კვირას რომ შეჩერდეს მუშაობა, 6 მილიონი დარჩებათ მუშების ფასისა ჯიბეში, და რაც მეტი ნახშირია, ისიც კარგ ფასად გაიყიდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ ს. რუისის სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ვასილ ზიბილაშვილმა შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს სკოლას შემდეგი ცხრა ქართული საყმაწვილო წიგნი:

ქაჯანა, ალი, ბედი უბედურთა, ცვარი, დემეტრეს სახლობა, ციცინათელა, ზედამიწიერი ჯოჯოხეთი [?]

უკუღმართი ჯალაბობა, მუსწი და ცელქი სამი წიგნი, რისთვისაც უგულითადესს მადლობას ვსწირავთ მოსწავლენი და მასწავლებელნი მეჯვრისხევის სკოლისა.

მასწავლებელი თეოფილე კანდელაკი

12 თებერვალს

## დეპეშა

29 თებერვალი

**პეტერბურგი.** რათა მინისტრთა კომიტეტს ასცილდეს ტვირთი დასაჩუქრებათა შესახებ საქმის განხილვისა, უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ: დასაჩუქრებათა საქმის წარმოება მიენდოს განსაკუთრებულს დაწესებულებას, რომელსაც უნდა ეწოდებოდეს „კამიტეტი უმაღლესად დასასაჩუქრებლად მოხსენებათა განხილვისა“ თავმჯდომარეობით რუსეთის ორდენთა კონცლერისა. აწინდელი წესი ორდენებით დასაჩუქრებისა დაცულ იქმნება. შუამდგომლობა მეფის გვარეულობის კაცთა და საქველ-მოქმედო საზოგადოებათა, რომელიც არ ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არც სხვა უწყებათ, პირდაპირ უნდა წარედგინოს ხოლმე მის იმპერატორებით უდიდებულესობის კანცელარიის გამგეს.

სახელმწიფო ქონებათა გამგებლებს ეუწყათ, რომ ის შეღავათი ტყით სარგებლობის შესახებ, რომელიც გამოცხადდა 21 იანვარს 1891 წ., ამ წელსაც ძალაში იქნება მოუსავლობით დაზარალებულს გუბერნიებშიო.

„Нов. Вр.“-ს გაუგონია, სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ იქმნა ახალი პროექტი ელევატორთა დებულებისაო.

**ნიცა.** დიდს მთავრინას მილიცა ნიკოლოოზის ასულს ქალი ეყოლა.

---

სდებდნენ დაკოდვასა და ასოთა მოკვეთას შორის და ერთს მეორისაგან განასხვავებდნენ [303]). თუმცა აღბუღაც განასხვავებს, მაგრამ არ აღნიშნავს-კი — რა და რა სახისა და თვისებისაა დაკოდვა და თითოეულს რამდენი გერში უნდა დაეურვოს. ევროპაში სხვაფრივ ყოფილა. იქ დაკოდვას ჰზომავდნენ და ზომის კვალობაზე გერშს აურვებინებდნენ დამკოდველსა. ასეთს ჩვეულებას ვპოვებთ ფრიზების სამართალში [304]). ხოლო მაჰმადიანთა სჯული აწესებდა — და ეხლაც აწესებს — დამკოდველს თანასწორი დაკოდვა უნდა მიესაჯოსო (ius talonis), [305]).

ათაბაგი გერშის დასაურვებლად არც ზომას ჰხმარობს და არც მაჰმადიანთა საწყაოს, — საპატიო კაცნი მოიყვანონ და როგორც იმათ შეატყონ, დამნაშავეს ისე გარდაახდევინონო: „საპატიოთ კაცთა შუა შემოსვლითა შეტყოებით მოიყვანენ, დაუურვებინონ ვითარცა მართებდესო“ (მუხ. ზ). ნაჩვენები არაა, საპატიო კაცთა რით უნდა ეხელმძღვანელათ, რომ დამკოდველისთვის დაეურვებინათ, ვითარცა ჰმართებდეს. შემდეგში-კი ვახტანგ მეფემ ქრის მარცვლით გაზომა შემოიღო და ევროპიელთა უძველესს ჩვეულებას მიმართა. საყურადღებოა, რომ ეხლაც ხევსურნი და კავკასიონის სხვა მკვიდრნი მტკიცედ ადგანან ამ ჩვეულებას.

ათაბაგი ამბობს, თუმცა ბუნდად, რომ დაკოდვა ორად განიყოფებაო: „თუ უჩინარს ადგილს იყოს, მას გერში მართებსო“ (მუხ. რკვ.) რასაკვირველია, თუ უჩინარს ადგილს გერში ეკუთვნოდა, საჩინარის უგერშოდ დატოვება ხომ არასოდეს არ შეიძლებოდა. სამართალიც ამ აზრისაა. მაგრამ საუჩინარო გერშის დასახელება, და ისიც ზოგადად, საკმაო არ არის. ევროპიელთა ძველი სამართალი ამ საგანს დაწვრილებით იძიებდა — უნდა განიხილოთ, ნაკოდი მძიმეა თუ მსუბუქი, რა ადგილას სჭირს კაცსა, რა იარაღით მოხდა ვისიმე დაკოდვა და სხვა. ყველა ეს საჭიროა, რადგანაც დაკოდვა მრავალ გვარია და თითოეულს საკუთარი გერში სძევსო [306]). ხოლო აღბუღა ყურადღებას აქცევს სხვა გარემოებას და დაკოდვის საკუთარს თვისებასა და ხასიათს-კი ივიწყებს. ასეთი გარემოებაა, მაგ., ზედდასხმა: თუ ზედ-დამსხმელმან ვინმე დაკოდოს, ორკეცი გერში გარდუხადოსო (მუხ. იგ). მეორე ადგილას ნათქვამია, როცა ვინმემ თავის მამულში კაცი შეიპყრას, სცემოს, შეკრას, დაკოდოს, სისხლის ნახევარი დაუურვოს და დაკოდვის გერში სხვაო — „თუ დაკოდილი აჩნდეს, იგი სისხლსა შიგან არ მიეფასოს და აგრევე დაუურვოსო“ (მუხ. ით). ეს და ამ გვარი გარემოება ნაკლებად ეფერება თვით დაკოდვის ბუნებას. დაკოდვის საქმის საცნობლად საჭიროა მისის თვისების განმარტება და ამას-კი აღბუღა უყურადღებოდ სტოვებს.

საზოგადოდ არიელებისა და კერძოდ ინდოელებისა, ბერძნებისა და გერმანელების ძველი სამართალი აწესებდა, პირი-სახის დაკოდვა ცალკე დანაშაულია და სხვა დაკოდვისაგან განირჩევაო [307]). საათაბაგოს სამართალიც არიელებისა და ევროპიელების აზრს ადგია. აღბუღას განსხვავებულ დანაშაულად მიაჩნია პირის ნაკრავი, პირის დალი და დასძენს, იგი დაკოდვაზე მძიმეაო — „თუ პირსა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს, ათასხუთასი თეთრი დაუურვოს“ (მუხ. ვ), „წაპარვითა პირისა დალი სისხლისა ნახევარი არისო“... აშკარაა, თუ რად: პირის ნაკრავი და დალი ადამიანს ასახიჩრებს, სილამაზეს უკარგავს, და სილამაზეს ხომ ყოველთვის დიდი ფასი ჰქონია. ათაბაგიც მფარველობდა ადამიანის სილამაზეს. ამას კბილების გერშიც ამტკიცებს. კბილი მარტო ჭამისათვის არ არის საჭირო, — სილამაზითაც ამკობს კაცსა. ამიტომ გერმანელები ამბობდნენ, კბილის ჩაგდებინება ასოთა მოკვეთასა და დაშავებას უდრისო [308]). ლაზათისა და შნოს მოყვარული ფრანგნი კბილის ჩაგდებინებისათვის თხუთმეტს სოლიდს ახდევინებდნენ, რუსები კიდევ თორმეტ გრივენს [309]). როგორ ბჭობს აღბუღა? — ათაბაგის სიტყვით, კბილი სილამაზისათვისაც საჭიროა და ჭამისათვისაც. პირველი თვისება წინა კბილსა აქვს, ხოლო მეორე — უკანასა: ვინც წინა ანუ უკანა კბილი ჩააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში გარდიხადოს, „ამად რომ წინა სახიჩარია და უკანა ჭამას დააკლებსო“ (მუხ. თ). აქ წინა და უკანა კბილი თანასწორია, სილამაზისა და ჯანმრთელობის საჭიროება ერთმანეთს არ სჯაბნის, მაგრამ მაინც ორსავე კბილს ცოტა ფასი სძევს, რადგანაც კბილს თითის გერში უწერია, თითის გერში ხელის მეხუთედი იყო და ხელს კიდევ სისხლის მესამედი ეურვებოდა. სხვა ადგილას ათაბაგი წინა კბილს მეტს ფასს უჩენს, ვიდრე უკანას, და მაშასადამე სილამაზეს ჭამის საჭიროებაზე მაღლა აყენებს — „თუ კაცმან კაცს წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუურვოს“ (მუხ. რმგ), „თუ უკანა ჩააგდებინოს, სისხლის მეხუთედიო“ (მუხ. რმდ). ამ უთანასწორობას გარდა, ფასიც დიდია დანიშნული, ვიდრე ზემოდ. იქ ათაბაგი ამბობდა, კბილის გერში თითის ოდენააო, და აქ-კი ამბობს, სისხლის ნახევარსა და მეხუთედს უდრისო. განა ეს შეცდომა და გაუგებრობაა? ჩვენის აზრით, არც ერთია და არც მეორე. ათაბაგმა კარგად იცოდა — ვის კბილს რა ფასი აქვს. ეხლაც ერთი როდია, — გლეხს ჩააგდებინებ კბილსა, თუ ბრწყინვალე გვამს. პირველი მაგრე რიგად არც სილამაზეს დაგიდევს და არც კბილის საჭიროებას, — მცირე გერშიც მეყოფაო. სულ სხვა უნდა ითქვას თავადსა ანუ აზნაურზე: წინანდელის ფეოდალის აწინდელი მემკვიდრე ძველებურად ისევ კოპწიაობს, თავ-მომწონეობს, და აბა კბილის ჩაგდებინებას ადვილად ვის აპატიებს! ჩვენს დროსაც იგი უფრო სილამაზეს აფასებს, ვიდრე სხვა საჭირო საგანს. ძველადაც ასე ყოფილა და აღბუღამაც ამის მიხედვით დაადგინა კბილების სამართალი.

თუმცა ამ გადაბირების დროს, ცოტა არ იყოს, წვერ-ულვაშს პატივი აეყარა, მაგრამ წინად სხვაფრივ იყო. რუსების Правда აწესებდა, წვერის ანუ ულვაშის მომგლეჯმა თორმეტი გრივენი უნდა მისცეს ნაწყენსაო. ფრანგები ამასაც არ სჯერდებოდნენ და დამნაშავედ სთვლიდნენ, ვინც პატარა ბიჭს ან გოგოს თმას მოაჭრიდა [310]). არც ათაბაგი აკლებს პატივს წვერს — „თუ კაცს წვერი მოეკვეთოს ანუ მოეგლიჯოს, ორი გერში ზღოსო“ (მუხ. რმე), ე. ი. ორის დაკოდვის ფასიო. რადგანაც დაკოდვის საქმე შუაკაცებს ეკითხებოდა, წვერის მოკვეთა და მოგლეჯაც იმათი მოვალეობა იყო.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

303) *ibid.* См. также Сов. Об. и Др. Зак. II. 136.

304) Сов. Об. и Др. Зак. II. 139—40.

305) Зак. и Об. на Кав. II. 217—18, 237—8.

306) *ibid.* 279.

307) *ibid.* 280.

308) Сов. Об. и Др. Зак. II. 138.

309) Беко, 138. Калачевъ, 190, 222.

310) Калачевъ, 190, 222. Беко, 135.

**პარიჟი.** დღეს „სენ-ჟერმენ ბენუას“ ბულვარზე, როგორც ჰგონებენ, დინამიტით აფეთქდა პირველი სართული იმ სახლისა, რომელშიაც სცხოვრობს წევრი „სენ დენის“ ანარხისტთა განმასამართლებელის სასამართლოსი. აფეთქებამ დიდი ზიანი მისცა. კედლები დახვრეტილია ყუმბარებისაგან, მეორე სართულის პარკეტი დიდად არის გახეთქილი. აფეთქების ხმა 500 მეტრზე გაისმა. გამოძიება სწარმოებს.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა დირექტორი საიმპერატორო ალექსანდრეს ლიცეისა იანუს გარტმანი.

**ბელგრადი.** მთავრობამ გამოაცხადა, რომ იმპერატორად ნამყოფი მილანი თავისის თხოვნისამებრ სერბიის ქვეშევრდომობიდგან დათხოვნილ იქმნა.

**ლონდონი.** რადგანაც დურგამელმა ქვის ნახშირის მთხრელებმაც გადასწყვიტეს პირობის შეკვრა და მუშაობაზე ხელის აღება, ამის გამო ხვალ, ან ორშაბათს სულ 400,000 ქვის ნახშირის მთხრელი აიღებს მუშაობაზე ხელს. ნორტუმბერლანდის მუშები ამათ არ მიემხრობიან.

1 მარტი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულმა კომიტეტმა უკანასკნელს კრებაზედ სხვათა შორის აღნიშნა ზოგიერთი ღონისძიება იმ 30,000 ცხენის გასანაწილებლად, რომელიც კირღიზის ვაკეებში შეიძინა დამშეულ გუბერნიებისთვის. ამასთანავე გადასწყვიტა, მიეცეს სამარას საგუბერნიო კომიტეტს 100,000 მანათი, ორენბურგის გუბ. კომიტეტს—25,000 მანათი და პერმისას—10,000 მანათი. ყაზანის საქველ-მოქმედო საბჭოს მიეცა 50,000 მანათი დამშეულთა გამოსაკვებად. ნიჟნი-ნოვგოროდის საქველ-მოქმედო საბჭოს მიეცა 20,000 მანათი და 20,000 ფუთი პური. გარდაწყვეტილია აგრეთვე, რომ ის პური, რომელიც პეტერბურგის ინგლის-ამერიკის ეკკლესიამ შემოსწირა და რომელიც ამერიკიდამ იქმნა მიღებული, სულ 220 ვაგონი, შემდეგს გუბერნიებში იქმნას გაგზავნილი: სამარასი, სარატოვისა, სიმბირსკისა, ტამბოვისა, პენზისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ორენბურგისა, რიაზანისა და ტულასაში. იმავე კომიტეტისათვის შემოწირული ფული, 20,000 მანათი, განაწილებულ იქმნება ტამბოვისა, სარატოვისა და სამარას გუბერნიებს შორის.

22—28 თებერვალს განსაკუთრებულს კომიტეტს 46,000 მანათზედ მეტი შემოწირულება მიუვიდა.

„Гражданинъ“-ს შეუტყვია, განზრახვა აქვთ გზათა მინისტრს მიანიჭონ უფლება, ინჟენერობის დიპლომი მისცეს ყველას, ვინც სატეხნიკო უმაღლესს სასწავლებელს დაამთავრებს, და რკინის გზის სამსახურზედ განაწესოს ხოლმეო.

**ბერლინი.** იმპერატორმა გადასწყვიტა, რომ განოვერის გარდაცვალებულის მეფის 1866 წელს შეკრული მამული განთავისუფლებულ იქმნას. ამ მამულის შემოსავალი აქამდე სხვადა-სხვა საიდუმლო ხარჯისათვის იყო დანიშნული. იმპერატორმა ეს მამული დაუბრუნა მეფის შვილს, კუმბერლანდის ჰერცოგს, რომელმაც იმპერატორის წინაშე წერილით აღიარა, არავითარი განზრახვა არა მაქვს იმპერიის წინააღმდეგაო.

**დარმშტატი.** წუხელ, ღამისს პირველს საათზედ, გარდაიცვალა დიდი ჰერცოგი დარმშტატისა, მამა დიდის მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულისა.

**პარიჟი.** დღეს სასამართლოს გამომძიებელმა, პოლიციის კომისარმა და საქალაქო ლაბორატორიის უფროსმა გამოძიება მოახდინეს სენ-ჟერმენის ბულვარზედ აფეთქების საქმისა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ აფეთქებულია ცილინდრის მსგავსი კოლოფი, რომელიც ორის კილოგრამის ოდენა დინამიტით და სხვილის საფანტით ყოფილა გატენილი. ეს ყუმბარა ნამდვილი „ჯოჯოხეთის მანქანა“ ყოფილა და სწორედ რაღაც სასწაულს უნდა მიეწეროს, რომ აფეთქების დროს ხალხი არავინ დაშავდა.

**პეტერბურგი.** გუშინ პეტრე-პავლეს ტაძარში იმპერატორის სახლობის თანადასწრებით მოსახსენებელი წირვა იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ისა.

დღეს ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე ასვლის დღეს ისააკის ტაძარში სადღესასწაულო პარაკლისი იქმნა გადახდილი. სასახლეში სტუმრები არ მიუღიათ.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, მინისტრთა კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ დასავლეთს მხარეში უცხოელები აღარ დაასახლონო.

გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფო საბჭომ განიხილა საქმე შუამავალ კომისიებისა, რომელნიც შესდგებიან ხოლმე თავმჯდომარეობით ადგილობრივ თავად-აზნაურთა წინამძღოლისა მამულების თაობაზე დავის გადასაწყვეტად და სხვ:

**ყაზანი** სახადის წინააღმდეგ საბრძოლველად ყაზანის მაზრაში „წითელის ჯვრის საზოგადოების“ მიერ გაიგზავნა სანი ტართა რაზმი—ერთი ექიმი, რამდენიმე ფერშალი და ავადმყოფთა მომვლელი ქალები.

**ნიუ-იორკი.** დამშეულ რუსთა სასარგებლოდ გაიმართა კონცერტი, რომლიდგანაც შემოვიდა 16,000 მ.

**პარიჟი.** ამბობენ, მალე გადააყენებენ დიდს ვეზირს ჯევად-ფაშასაო.

**ვორონეჟი.** 1 იანვრამდე უსაქლობის გამო ვორონეჟის გუბერნიაში დაიხოცა, როგორც ოფიციალურ ცნობათაგანა სჩანს, 100,000 და დარჩა 370,000 ცხენი.

3 მარტი

**პეტერბურგი.** მეორე შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების ტირაჟში უმთავრესნი მოგებანი ჰხვდა:

| №№ სერ. | №№ ბილ. | მოგება. |
|---|---|---|
| 10,642 | 28 | 200,000 |
| 16,197 | 9 | 75,000 |
| 19,525 | 38 | 40,000 |
| 13,968 | 38 | 25,000 |
| 11,611 | 35 | 10,000 |
| 345 | 22 | 10,000 |
| 1,679 | 32 | 10,000 |
| 13,976 | 37 | 8,000 |
| 1,099 | 44 | 8,000 |
| 10,074 | 5 | 8,000 |
| 9,474 | 39 | 8,000 |
| 6,405 | 29 | 8,000 |
| 11,963 | 13 | 5,000 |
| 14,025 | 37 | 5,000 |
| 16,679 | 24 | 5,000 |
| 10,178 | 48 | 5,000 |
| 8,760 | 22 | 5,000 |
| 7,104 | 21 | 5,000 |
| 2,501 | 30 | 5,000 |
| 6,538 | 42 | 5,000 |
| 13,875 | 43 | 1,000 |
| 19,216 | 38 | 1,000 |
| 6,345 | 7 | 1,000 |
| 7,736 | 38 | 1,000 |
| 616 | 11 | 1,000 |
| 2,934 | 9 | 1,000 |
| 4,444 | 24 | 1,000 |
| 13,501 | 43 | 1,000 |
| 8,722 | 31 | 1,000 |
| 19,951 | 3 | 1,000 |
| 13,037 | 50 | 1,000 |
| 14,380 | 46 | 1,000 |
| 10,894 | 42 | 1,000 |
| 13,023 | 25 | 1,000 |
| 13,413 | 8 | 1,000 |
| 7,600 | 43 | 1,000 |
| 14,841 | 35 | 1,000 |
| 11,308 | 38 | 1,000 |
| 16,279 | 2 | 1,000 |
| 17,375 | 23 | 1,000 |

პეტერბურგის ბირჟა, 28 თებერ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, | 79 | 7, | 83 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156 | | 157 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — | ,, | 1, | 16 | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 236 | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 226 | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | | — | ,, | 200 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში და „ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში

# წყარო

ქართულ ენის სახელმძღვანელო მოსამზადებელს კლასებისთვის, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან

ფასი ორი აბაზი

(5—3)

ПРИДВОРНЫЕ ПОСТАВЩИКИ

А. РАЛЛЕ и К°

НОВОСТИ! ПРИДВОРНЫЕ ДУХИ ПРИДВОРНОЕ МЫЛО ПРИДВОРНАЯ ПУДРА

ЦВѢТОЧНОЕ ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.

НОВОСТИ! ДУХИ БѢЛЫЙ ИРИСЪ ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ ЛАНДЫШЪ.

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

ЯИЧНОЕ МЫЛО, ИЗОБРѢТЕННОЕ НАМИ въ 1846 г.



МЫЛО КАЗАНЛЫКСКАЯ РОЗА.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 г.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 г.

О-ДЕ-КОЛОНЪ ДИСТИЛИРОВАННЫЙ НА ЦВѢТАХЪ ВСЕВОЗМОЖН. ЗАПАХОВЪ.

СПЕЦІАЛЬНО ИЗГОТОВЛЕННОЕ ДѢТСКОЕ МЫЛО СЪ ГЛИЦЕРИНОМЪ

БАРХАТНАЯ ПУДРА ХОРОШО ПРИСТАЮЩАЯ НЕЗАМѢТНАЯ НА ЛИЦѢ.

А. РАЛЛЕ и К°

ПРОИЗВЕДЕНІЯ НАШИ ПРОДАЮТСЯ ВО ВСѢХЪ ПАРФЮМЕРНЫХЪ и АПТЕКАРСКИХЪ МАГАЗИНАХЪ РОССІЙСК. ИМПЕРІИ.

(12—2)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

# ზადიგი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.